თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 39

„02“ აპრილი 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გასატარებლი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-15 პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტების, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე და 54-ე მუხლების შესაბამისად,

1. 2015 წლის 6 თებერვალს თელავის მუნციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი თვითმმართველი თელავის მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული რეკომენდაციებიდან გამომდინარე, ეთხოვოს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხების გაწყვეტა:

ა) სოფლის დახმარების პროგრამების განსახორციელებლად, რომლებიც არ საჭიროებს ტენდერს და შესაძლებელია სამუშაოების შესრულება ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, უპირატესობა მიენიჭოს სოფლის წრმომადგენელს (ინდ. მეწარმე/შ.პ.ს), რაც ხელს შეუწყობს სოფლის მოსახლეობის დასაქმებას და სამუშაოს ხარისხიანად შესრულებას;

ბ) გამგეობის შესაბამისმა სამსახურმა შეისწავლოს ვის საკუთრებაშია შპს „ლოპოტა რეზორტთან“ მისასვლელი გზის მონაკვეთი, რომელზედაც შლანგბაუმია განთავსებული და დაადგინოს აღნიშნული შლანგბაუმის განთავსების კანონიერება;

გ) დაევალოს გამგეობის შესაბამის სამსახურს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოადგინოს სოფელ ლაფანყურსა და სოფელ ნაფარეულს შორის და ასევე სოფელ ვარდისუბანს და სოფელ ყარაჯალას შორის არსებული შიდა საზღვრის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) სოფელ ლაფანყურში ერთ-ერთ ადგილას ბუნებრივად გადმოედინება გოგირდოვანი წყალი, რომელსაც გააჩნია სამკურნალო თვისებები, აღნიშნულის დასადასტურებლად საჭიროა ჩატარდეს წყლის ქიმიური ანალიზი;

ე) გამომდინარე იქიდან, რომ სოფელ ლაფანყურში არ დაფიქსირებულა ბრონხიალური ასთმით დაავადების არც ერთი შემთხვევა საჭიროა ჩატარდეს შესაბამისი კვლევა, ამისათვის სოფლის ექიმისგან გამოთხოვილი იქნეს შესაბამისი დოკუმენტი სოფელში ასთმით დაავადებულ პირთა შესახებ და სასიკეთო ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში მიემართოს შრომის, ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, რათა დაარსდეს ასთმის სამკურნალო დაწესებულება, რაც კარდინალურად შეცვლის მდგომარეობას სოფელ ლაფანყურში;

ვ) სოფელ ლაფანყურში არის სკოლის კაპიტალური შენობა, ხოლო სკოლის ძველი შენობა უფუნქციოა. ორივე იმყოფება განათლების სამინისტროს ბალანსზე. სოფ. ლაფანყურის საჯარო სკოლაში ირიცხება 80 ბავშვი. სოფელს ძველი სკოლის შენობის გარდა არ გააჩნია სხვა ალტერნატიული ადმინისტრაციული შენობა სადაც, შესაძლებელი იქნება კულტურული და სპორტული ცენტრის განთავსება. გამომდინარე აქედან გამგეობამ დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღნიშნული შენობის თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე.

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

3. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი